


3/12 363

ნოვანი

ქრონოლოგიური
გეგმით

თბილისი, 1964 წ. № 24. გ. 40

ბრი



ნახ. ს. ნალაგიძის

ბუღალტრმა ვაშლი და ლაღნი ვაშლი
უხადებენ, რომ კლასობრივი პროლა ეშ-
ბებს მოვლილია.

სიბრძნენი „სოციალისტური“ სახარებისანი ანუ...

„სილის ნაშენა“



ზესტაფონის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა საგზაო მშენებლობის გეგმა... მაგრამ საქართველოს ემდურის ზესტაფონელი ამხანაგები: „ამოდენა გზები გავიყვანოთ და ერთი „კატოკიც“ (გზის სატყეპნი მანქანა) კი არ გამოუგზავნიან... რაიონში „საქართველოს“ თითქმის არც ერთი მუშაკი არ ჩამოსულა და არც კი იკანობიან თუ რას ვაითებდითო“.

გაზეთში საგზაო მშენებლობის შესახებ გამოქვეყნებულმა წერილმა გზა მშენებლების სამმართველოში დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია.

— ყოჩაღ, ზესტაფონელი! აგრეთვე გიგანტი სამუშაო! გზა-კაპიტლები ვაიყვანეს, ავტოები გაიჩინეს, თეატრს აშენებენ...—თქვა „საქართველოს“ ერთმა მუშაკმა.

— ისინი აშენებენ, მაგრამ ჩვენ კი მოვივადიანო ხაზინა!... უბასუბა მეთრემ.

— რათა! ჩვენთან ვის რა ხელი აქვს?

— წაიკითხე და გაიგებ. და ამ სიტყვებში მან თანამოსამსახურეს თვითონვე სხარტად ჩაუკითხა გაზეთში ის სტრიქონები, რომელშიც საქართველოს უმჯობესობა იყო აღნიშნული.

— „არაფერი გამოუგზავნიან... არ ჩამოსულა“...— ასეთ ბრალდებას გვიყენებენ!— გადაულაპარაკეს ერთმანეთს დარცხვენომა თანამშრომლებმა.



ამ მოთქმა-მოთქმამ საქართველოს აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა შორის ყველაზე ადრე ადგილკომის თავმჯდომარის ყურადღებამიაღწია.

— ხომ გაუგზავნი? — მიმართა მან თავის რეჟისორ მდივანს, რომელიც—მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, თავმჯდომარისთან ერთად აპარატში და ერთ შენობაში მსახურებდა, — უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში თავ-

ლით აღარ ენახა, რადგან ადგილკომის თავმჯდომარე ადგილკომის ოთახში არ შედიოდა და ადგილკომის მდივანი კი ადგილკომის ოთახიდან არ გამოდიოდა.

— როგორ არა! ყველას გაუგზავნე.

— კიდევ მიიღეს?

— მიიღეს!

— საიდან იცო?

— აქ აყო რწმუნებული. მრბუთე დღესვე მიუღიათ გაგზავნის შემდეგ.

— ყველაფერი მიუღიათ?

— ყველაფერი.

— ჩემი ხაზით საქმე კარგად არის. ჩემი მოვალეობა პირნაშაღად შესრულებულია.—თავმჯდომარე გული ადგილკომის თავმჯდომარემ.



— ჩქარა შეამოწმეთ, იყო თუ არა ჩვენთან თავის დროზე გაგზავნილი!—მიმართა რეგისტრატორს პარტკომის მდივანმა.

— თავის დროზე გაგზავნეთ: ექვსი თვის წინადა. აგერ მაქ ჩაწერილი. —დაამშვიდა რეგისტრატორმა.

— მერე მიუღიათ?

— მიუღიათ.

— საიდან იცო?

— იქაური პარტკომის მუშაკე ვნახე, ასე ნითხრა: „თავის დროზე მივიღე და მიღებისთანავე გადავირით“.

— მაშ რაკი აკრეა, გაზეთში მოთავსებული ცნობა ჩვენდა მიმართ ცილისწამება ყოფილა, რადგან ჩვენ კიდევ გაგზავნეთ და კიდევ ჩასუ-

ლა.—დაიმშვიდა გული პარტკომის მდივანმა.



— მდივანს დამიძახეთ!—მოსახანე ტონით წარმოსთქვა საქმეთა მმართველმა.

მდივანი დაძახებისთანავე უფროსის კაბინეტში გაჩნდა.

— რას გავს ეს? ჩვენ უდღესსანეურნეო და კულტურული მნიშვნელობის საქმეს ვაკეთებთ, სოცშეუგობრებაშიც კი ვართ ჩაბმული მოძრა რესპუბლიკებთან და სახელის და გამარჯვების ნაცვლად საქმეუნოთ თავი გვექრება. ყველანი ახახიან: „არ ჩამოსულა... არ გამოუგზავნიანო“... ამან უნდა დაჩრდილოს ჩვენგან მოპოვებული წარმატებები?! შეამოწმე საჩქაროდ ამ ბრილდების სისწორე.

— ვიცი საქმე რაშიც არის უკვე შევამოწმე. უბეში ცილისწამებაა, კითხვა გაგზავნეთ და კიდევ მიიღეს, მიიღეს წესიერად.—თავის დროზე, —რვა თვის წინადა. ამის უარს არც ზესტაფონი იტყვის. მარტო მითავის ხომ არ გაგვიგზავნიან. ყველა რაიონებს გაუგზავნეთ და ყველაგან თავის დროზე ჩაიდა.

— საქმეთა მმართველის სახეს დამშვიდება დაეტყო.

— დამშვიდება უნდა დაეტყოთ ზესტაფონელ ამხანაგებსაც. აბა რა აქვთ სასაყვედურო? მათ ხომ ყველაფერი თავის დროზე გაუგზავნეს, და ყველაფერი თავის დროზე მიიღეს.

— რა მიიღეს?! ანკეტები, ლოზუნგები და ცირკულიარები.

— მეტი რაღა არის საქმით დამშვიდების საშენებლად, ხიდების გასაყვანად და გზების სატყეპნელად?

მეღუფა.



ნან. ლურიცხინი.

ზოგიერთი რაიონის აღმსკობის თავ
მჯდომარეები არ აქცევენ ჯვროვან ყუ-
რადლებს გზების შემწებლობას.



ლურიცხვი

თავ. რე. — უფრო არ მიკვირს! რა ალა-გზებზე ვაპაეთო, როცა ახლო
ხანში სავაერო მიმოსვლა იკნება ყველგან!

„ლეკუტატობა“

ნამდვილი ამბავი

სამი წლის წინად საანგარიშო
კრება მიმდინარეობდა.

კრების თავმჯდომარემ ხარი
აარაწყუნა.— ამხანაგებო! ვინ ხართ
მომხრე, რომ სასწრაფოა ავირ-
ჩიოთ სპეციალ... კენჭს ვოყრი.

ითვლება ხმები...
ერთხმად... დაიძახეს და გაიმარ-
თა თვაცია, მაგრამ იმ განსხვავებით,
რომ ხალხი ფეხზე არ ამდგარა
სასწრაფოა თვალები გაუბრწყუ-
ნდა. ლეკუტატობა ხუმრობა ხომ არ
არის!

— მეორე კანდიდატია ამხ. ხორ-
ბალოძე— განაცხადა თავმჯდომარ-
ემ.

— ფაშა!— გაისმა ხმა. ხორბალო-
ძემ ულვაშებში გაიღიმა. მარჯვენა
ულვაშზე მარცხენა ხელი მოსვა,
და ოცნებას მიეცა.

ვიყვარდეს ლეკუტატის წიგნაკი
და ტრამვაი.

ტ.ბ.ო.კ.-ს თანამშრომელთა საან-
გარიშო კრება.

— აბა სასწრაფოა და ხორბალო-
ძე, გვითხარით რა ვაკეთებთ?—
მოითხოვეს ამომხრეობა.

ჯერ არაფერი, მაგრამ იმედი
გვაქვს გვაკეთებთ, ჩვენ ახლა მო-
გვაგონდა, რომ ლეკუტატები ვართ.
არ ვიცოდით თუ ასე ადრე დაი-
წყებოდა არჩევები!

ასე ჩააბარეს ანგარიში ამომ-
ჩრეილებს სასწრაფოა და ხორბა-
ლოძემ.

ყლაპ.

დამარცხებული

— გწამთ თუ არა თქვენ სულე-
ბის გადასაჩლივება?

— არ მეხმის.

— თი, მაგალითად, დღეს შინი
სული ადამიანის სხეულში დგას
და მაშასადამე, შინ ადამიანი ხარ.
უწინ კი შეიძლება შინი სული აქ-
ლემის ტანში დგას, მაშასადამე, შე-
ნი სულის ადამიანის სხეულში გად-
მოსვლაში შინ აქლემი იყავი.

— არ მწამს. შინ?

— მე მწამს.

— ვერ დავიჯერებ.

— პაჩიონან სიტყვას გეკობნები.

— მაშ თუ აგრეა, რა იქნებოდა
უწინ შინი წარმოდგენით?

— ვიჩი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ფაილი ბერლი
ნის ბანში შევიწახე და ვერ გავი-
თვალისწინე, რომ თი თიიში გა-
ტრდებოდა.

რალი.



კოტემ თქვა, გორდაზიანმა
 ბელი მაქვს აღმასისაო,
 ხალტურით სახლი გავჭიმე
 სახე აქვს ქარვასლისაო.
 მერე რა ვუყოთ ტრანსპორტის
 ფული რომ ვჭამო ნელაო.
 რას დამაკლებენ, ვიცოდე,
 დიდები მიცნობს ყველაო.
ანაკლიელი კოტიკო
 გარაქს ვაბრუნებ ხელშიო,
 რაც უნდა ბეგრი გავჭაფო,
 არ გამეჩრება ყელშიო.

ლირექტორებიც ხომ მწყალობს,
 ხუთასს მაძღვევენ თვეშიო,
 მე ისე ვერ ვაფერდები,
 ასს თუ არ ვაძრობ დღეშიო.
 ჩემს ხელში არის ვარაჯი,
 მე შეკითხება ყველაო,
 მანქანა ფეხზე მკილია,
 თუნდ ბეგრი უნდა შეველაო.
 ტირილ-ქორწილში მზად არის
 ერთი მანქანა ჩემთვისო,
 სენაკი-გალი-ზუგაიოიდი,
 გული ხომ ამით მერთვისო.

მამა ვაცხონე სენაკის,
 სული მიდგია ხისაო
 მე აქეთ ფული ვჭამო და,
 რა ზარალია ტყისაო!
 აბა ხალტურავ, მოფრინდი.
 არ გამიფუჭო შადაო.
 ამაჯო კარგად თუ იქნა
 კიდევ ბეგრი მაქვს ვადაო.
 მე შემოვევლე მანქანებს,
 გამხსნელი არის გულისო,
 შემოსავალიც კარგი აქვს,
 ბარაქა იცის ფულისო. **მარა**

აქხარეთ ნიანეთ!

აზხ. ნიანგო!

ჩვენი სოფელი ზემო-სურები
 (აორია) მართალია ერთ დროს ისე
 უგზო-უკვლო იყო, რომ იქ კაცი
 ვერ გაივლიდა და ალბად სურებიც
 (-სულ „ურები“, სულ გაუვალი)
 მიტომ დაარქვეს, მაგრამ დღეს
 უკვე აღარც ისეთი „ურებია“ რომ
 ჩვენამდე თქვენმა პატივცემულმა
 ჩანგალმა ვერ მოაღწიოს. უთქვენოდ
 კი საქმე ფუტკდება: ილუპება ოთ-
 ხი „ბატკანი“.



ეს „ბატკნებია“: ფოსტის გამვე
 ჭენიოს სანიკიძე (მართლაც გენიოსი
 კაცია!), სამკერველოს გამვე სარ-
 დიონ ლომინიშვილი (გვარი ლომის
 აქვს, მაგრამ ქაშის მადის მიხედვით
 შევლი გეგონება); კოპერატივის
 ნოქარი ქეთო გოგინიძე და სანა-
 რაზოს გამვე სილოვან პატარაია.

მათ ერთმანეთი სოცშეჯიბრება-
 ში გამოიწვიეს სოციალისტური სა-
 კუთრების განიკვებაში და ჯერჯე-
 რობით მარტო ასეთ მაჩვენებლებს
 იძლევიან:

- სარდიონს (სამკერველო) გაუფ-
 ლანგავს — 1300 ზან.
 - გენიოსს (ფოსტა) — 1200, (სარ-
 დიონმა აჯობა!).
 - ქეთუშას (კოლხსავაქრო) — 1200,
 (არ ჩამორჩა!).
 - სილოვანს (სახარაზო) — 600,
 („მოჯაყულა კაცი!“).
- ამიტომ მოგმართავთ ჩვენი თემის
 ხახელით ჩამოხვიდეთ ჩვენში შენი
 ჩანგლით და „ბუქსირზე“ (იგივე ჩან-
 გალზე) აიყვანოთ ჩვენი სოფლის
 „საბატიო“ დამკვრელები.

კიო-კიოსანი.

აზხ. ნიანგო!

რკინისგზის მოლარეების მიერ
 მგზავრების ხურდა ფულის მითვი-
 სებას სისტემატიური ხასიათი აქვს
 მიღებული, მაგრამ ზოგიერთი მო-
 ლარეები:

არ ჯერდებიან მარტო ხურდას
 და სხვა ნრიკებითაც ახერხებენ
 მგზავრების გაჭურდვას.
 მაგალითად, სადგურ სვირის მო-
 ლარე ლუბა გურგენიძე საბავშვო
 ბილეთს მეოთხედის ნაცვლად ნახე-
 ვარ ფასად ყიღის, ესე იგი მისი
 განმარტებით საბავშვო ბილეთი ნა-
 ხევარი ფასი ღირს. ვაგვიმარტე
 აზხ. ნიანგო, თუ ლუბას კომენტა-
 რებით საბავშვო ბილეთი ნახევარი
 ფასი ღირს, რა ღირს ა.ე. რკინის-
 გზის სამმართველოსათვის თვით სა-
 გზაო ტარიფების „კეთილსინდისი-
 ერად“ გამმარტებელი ლუბა გურ-
 გენიძე?

გიჭოზ ბარბაქაძე.

ა. სიქთარუა,
ჩხარის რაიონი.

აზხ. ნიანგო!

ქიათურის რაიონის, სოფ. ქო-
 რეთის გლეხთა ახალგაზრდობის ო-
 ლის მასწავლებელმა აზხ. კ. მომცე-
 მლიძემ, რომელიც მიმაგრებული
 იყო წერა-კითხვის უცოდინარობის
 სალიკვიდაციო სკოლასთან შეკრიბა
 ოცამდე დიასახლისი ქალები და ასე
 განუმარტა მათ სწავლის მნიშვნე-
 ლობა:

„საბჭოთა ხელისუფლების მიზანია
 გასწავლოთ თქვენ წერა-კითხვა, იმი-
 ტომ, რომ, როდესაც თქვენ ქმრებს
 გაეყრებით, აღარ გაგიჭირდ ბათ
 განქორწინების ბარათზე ხელის მო-
 წერაო“.



— არის თუ არა ხელისუფლების
 მიზანი, რომ ჩვენ ქმრებს გავეყა-
 როთო. — კითხულობენ შეშინებუ-
 ლი ქალები და შინისაკენ გარბიან.
 ჩვენ კი ვკითხულობთ:
 „ისწავლიან მომცემლიძის აგიტა-
 ციის დახმარებით წერა-კითხვას ქო-
 რეთელი ქალები თუ გერა?“.

3. გ-ძმ.
3. ც-ი.



შოფილი:—აგრე, აგრე, შენ მაინც იღუღუნე, თორემ შენს ვარდა ჩვენს ოჯახში ყველანი სმადაკარ-
გულეები ვართ!

ძირულის ავტორის ქარხანაში მუშების კვირა
მა მოუწესრიგებელია.
ქარხანა ვერ ახერხებს ხაწარმოთ გეგმუ-
ბის თაობაზე შესრულებას.



— ხედავთ? ჩვენი მუშები დღე იღან სასაბჭოში მუშაობას.
— სწორედ იმიტომ არის, რომ ვერ შეძლეს წარმოების ფეხზე დაყენება.

— „ავანტურები სანჩია?
— არა, ელანძი ტყეში გადირბინა!
— რაიზა ვითამ?
— რა ვიცი, ნადირი კოფილმა სამსე...
— კი მარა რათერ შეიძლება მისი? ავანტურები...
— ავანტურებით აფერი უქირს თჯო“...
დაახლოებით ასე „მჯგობრებ“ სარეწოთ კავშირის კულტურაში, რომელთაც ლიმონათის ქარხნის ნაწარმოების ფარდულში, რუსთველის ქუჩაზე, მუშათა სასახლის პირდაპირ ასეთი წარწერები გაუკრავთ: „მოითხოვეთ სამსე პიქები!“
„რედაქცია ყინული ავანტურები-სთვის“

ზიტლასაქმ.

ბ ა ზ რ ი ს ე პ ი ზ ო ლ ე ბ ი

„ტფილისის ცენტრალურ ბაზარში ხალხი ბუზებივით ირევა.“

— რა ღირს ძიაჯან ყველი?— ეკითხება ვიღაც საეჭვო პირი გლეხს.

— თოთხმეტი მანეთი, შენ გენაცვალე.

— ვა, რა ამბავია ვერე ძვირი, ოქრო ხომ არ არის, ყველგან თორმეტი მანეთი ღირს.

— თორმეტად წაიღე, რა გაჯავრებს, შე ხომ მეტად არ გავიდი, თუ სხვაგან თორმეტი მანეთია.

— ამას შეხედეთ ერთი და შენი ყველიც უნდა თორმეტი მანეთი ღირდეს და ამისიც?— გაჯავრებით იკითხა „მუშტარმა“ და მეორე ყველის გამყიდველისაკენ გადაინაცვლა.

— აბა ერთი ამას შეხედე რა არის და, შენ ყველთან შედარებით ოქროსა ჩემმა მზემ, — მიმართა „მუშტარმა“ პირველ გლეხს და მეორე გამყიდველის ყველზე მიიპატიჟა... პირველი გლეხი რომ თავის გასაყიდ საჭონელებს დაუბრუნდა, ყველით სუსე ხურჯინი იქ აღარ დახვდა, უკვე გაესალეზინათ „ნაღდ ანგარიშზე“...

**

— ძიაჯან, მიტკალი გინდა?
— მინდა შეილო, რა ღირს?
— მეტრა რვა მანეთი, რას მისცემ?
— ძვირია შეილო, აბა რა გითხრა

— რას მისცემ, შენი ფასი თქვი.

— ორ მანეთს მოგცემ.

— სამათ არ გინდა?

— ორი მანათი ძალიან კაი ფასია.

— მოდი, კარგი, წაიღე. რამდენი მეტრი გინდა?

— ოცი მინდა მაგრამა, რა ვიცი კარგი თუა.

— კარგი რომელია, ამ საჩიტორგისინიდან გამოიოიჰანია, ფული გვეყიდება თორემ, რას გავყიდით.

— კარგი, მომიჩირით.

გამყიდველობმა სასწრაფოდ გადასომებს მიტკალი, სწორედ ოცი მეტრი გამოვიდა.

— აბა ძიაჯან ფული ამოიღე, — მიმართეს გლეხს და ვიდრე მყიდველი ფულს დათვლიდა გამყიდველმა მიტკალი გამოცვალეს და სხვა ხუთმეტრიანი ნაჭირი სასწრაფოდ ჩატანეს ტომარაში.

მყიდველმა ორმოცი მანეთი გადაიხადა და წაიღა.

**

— ძიაჯან, რა ღირს ყურძენი?

— სამი მანეთი.

— მოგვეცი ერთი კილო. — მიმართა ორმა „მუშტარმა“ ერთ გამყიდველს და ერთმა მათგანმა ხუთთუთხმეტი მისთავაზა.

გლეხმა აუწონა ყურძენი და ორმოცდასმეტი მანეთი ხურდა დაუბრუნა. „მუშტარებმა“ წასვლა დააპირეს.

— ქო, მოგვატყუა, კილო ორ მანეთად გავვირიგდა...
— მე რე რა, ვერე არ მივეცი თუ

— არა, სამი მანეთი გამოგვართვა?

— ძიაჯან, შენც ჩვენ გეტყუებ? როგორაა შენი საქმე! კილოს ორ მანეთად გავვირიგდა რა სამი მანეთი გამოგვართვი? წაიღე შენი ყურძენი, არ გვინდა.

გლეხმა უკან გამოართვა ყურძენი, მუშტარებს ხუთთუთხმეტი დაუბრუნა და თავისი ხურდა უკან გამოართვა. (მცირე განსხვავებით: ოცი მანეთი აკლდა) თავისმა დათვლილმა ფოლმა აღარ დააქვდა და სწრაფად ჩაიღო ჯიბეში.

**

— ვახ, შემომავიოიბი სიყმეს გეფიცებით!

— შარზე ხარ?! შემშინებელი მოგიკვდეს, — და შუა ბაზარში დაკადავა გაიმართა. გაშველებზე თავს არაფერს სდებდა.

— მილიციელს ვერსად ვნახავ? — შევეკითხე მეგზოვეს, რომელსაც მხარზე გათხუპნული ცოცხი გაედო და გამვლელ ხალხს ლაზათიანად უხახუნებდა თავზე და ყბებზე.

— მილიცია იმ შენობაში არის ამხანაგო. — მომიგო მან.

— მილიცია კი არა, მილიციის თანამშრომელი მინდა, მილიციონერი — სიტყვა შეუბრუნე მეგზოვეს.

— მილიციონერი? მილიციონერებს აქ რა უნდათ, ვაჭრები ხომ არ არიან! — მომიგო მან და გზა განაგრძო.

გია.

ხალხურიადა

(აზრი აღმშენი)

ჩვენს პოეტურ ქვეყანაში პოეტებიც არიან:

ზოგი უმღერს ბარიკადებს, ზოგიც ღამეს მთვარეებს.

ზოგი ცოლსაც ეკიდება ვაი ამ მოკიდებას!

არ ჯერდება ცოლის გული ზოგის სხეულს, დიდებას.

ცოლის ჭირდება პალტო, ქუდი ფეხსაცმელი ახალი,

ვერ უყიდი, აგიტყდება სახლში აყალ-მაყალი.

აყალ - მაყალს გაუძლებდი — დაე, ჯანი გავარდეს.

მაგრამ ქალი, შეიძლება წყალშიც კი გადავარდეს.

დასახრჩობად ვინ განწირავს, სატრფოს პალტოს გულისთვის?

და პოეტი, სხვა რა გზა აქვს, დატრიალდა ფულისთვის.

ფულს კალაზე არ აბნევენ, როგორც ბზებს და ჩაღასა,

და პოეტიც ფიქრებშია, მუშას ატანს ძალასა:

უნდა თემა გამოიხიოს სიუჟეტი აილოს,

შემდეგ ლექსი დასწეროს რა დასასტამბათ წაიღოს.

სიუჟეტიც ხელად გაჩნდა: გადაშალა გაზეთი,

და თვალს მოხვდა რამდენიმე სათაური ასეთი:

„ურადღება პირუტყვთათვის სილოსის დამზადებას“.

„შეუდექით სახილოსე ორმოების მზადებას“.

იმავე გვერდზე დეკრეტი: აი თემა ცოცხალი!

(ფუფილობა რას დაგაკლებს თუ „ბედია“ მოწყალე?)

„ეს დეკრეტი, რომ გალექსო რითმით ნაუკვდავებით

შიგ გამოვა ოთხასმდე გარითმული ტაეპი...“

თქვა პოეტმა და ხალისით, რომ აშორდა განსაცდელს,

რომ დახრჩობას ცოლს ააცდენს აისრულებს საწადელს,

კალამს ხელი წამოავლო და კოლუმბოს პოზითა,

ლექსათ სწერს მას რაც დეკრეტში ნაწერია პროზითა.

სწერს და რითმაც ისე ცვივა, როგორც ბრინჯის კაკალი,

სწერს და ფიქრში ავიწყდება ცოლი — აყალ-მაყალი.

ის დეკრეტის ყოველ სტრიქონს აყალიბებს ტაეპად,

აზვაციდან პოემას ქმნის (მოუხვეჭს უკვდავებას!)

მისი სიტყვა „ქანდაკია თეთრი მარმარილოსი“,

ის უმარტავს კოლმეურნებს თუ რას ნიშნავს სილოსი.

რომ გაზაფხულს — ზაფხულს სდევს,

შემოდგომას ზამთარი, და ზამთარს კი თანვე მოსდევს წვიმა, თოვლი, ავდარი.

რომ თუ არ გვსურს გაიხარონ მტრებმა არამზადება, საჭიროა ზამთრისათვის დამკვრელურად მზადება,

ამისთვის კი შევასრულოთ უნდა ჩვენი ჯერია... —

და ჩამოთვლის დავალებას, რაც დეკრეტში სწერია.

თუმცა არა დეკრეტულად, — ვრცელი მეტაფორებით,

შესავლით და განმარტებით ცეცხლით, გრძობა-შორებით.

დაასრულა პოემა და ვარბის რედაქციაში.

რედაქტორი კითხოლობს და ეუბნება: — იახში!

იმ თემაზე არის სწორეთ, რაზედაც ჩვენ გვჭირდება,

ფული გინდა? შა ავანსი! წაიდე! დაგჭირდება!

პოეტს მიაქვს შინ ავანსი მიაქვს, მიუხარია,

ცოლი ხვდება... ქმარს ეხვევა, ბედნიერნი არიან.

პოემას კი პოეტისას — „ზამთრისათვის მზადებას“, —

სტამბის კარის დანახვამდე ორ თვეს ავციანდება.

ისტამბება ბოლოს, მაგრამ „პოეტური“ ქმნილება ველარ იწვევს მკითხველებში მაინც კმაყოფილებას.

იმახიან:

— მიქარვაა მეთი არაფერიოა, რაც ამ ლექსში წავიკითხე ის დეკრეტში სწერიაო.

წავიკითხეთ, შევასრულოთ, აზრიც იყო საჩინოა, აქ ნაწერი აბდა-უბდა ვესთვისლა საჭიროო?!

პოეტი კი ისევ დეკრეტს ეძებს აწყობს გაზეთს წყებად და მიფრინავს რედაქტორთან მონთარარის ასაღებად.


ლომის საგოში (ასპ. რაიოსი)



„აგაცხარებული“ მზადება საგოში არჩევნებისათვის.



შეუზღვევედ შთაფრობის დადგენილებ ისა ზოგი ანალი შენობა-ნაგებობის
რად შენდება: ვიწრო შესასვლელით და კარებით და დაბალი კვირით.
გაზეთებიდან.



ანაღ სახლში შესასვლილად
მიღბორვიან სახლის კარებს.
ქაფრამ ვიწრო შესასვლელი
მათ ახლონებ არ იპარებს.



თი ასეთი მერს მიმართის,
რომ არ იყო სხვა საშუალო:
ფაფურებიდან სარგებლობის,
ვისაც კი ამის ვარძელი სული.



ტყიბულის ტარიელები

ტყიბული განთქმული თავისი მალაოვებით, იგი ამჟამად თავისი მრავალი ათასი დამკვერელი მუშაობით ცნობილია აწმყდის ჩვენს გვიანტებს.

ტყიბული ინდუსტრიალური კუთხეა.

თა აი ამ ტყიბულოში (უფრო სწორად — მისი სახელწოდების სადგურში) უკვდავი ნინოშვილის „უკვდავი“ გმირი ტარიელ მკლავაძე გახუთებულა და ამ ხუთ ტარიელ მკლავაძეს ჩამოუყალიბებია წრე, რომელშიაც შედიან: ბესო და იულიო გაბიანი, ვარდოსანიძე და წერეთელი შალვა და ჯავახიძე მიშა.

— ქვეყანა ვნახეთ უძაღლო, შიგ გევიარეთ უჯოხოთ. — ამბობენ ისინი (საკითხავია: ძაღლად ვის გულისხმობენ).

ჩა. გზის სადგურში

— აბა, ბიჭო, ჯიშიაშვილო, შეიი ჯიში დაილოცოს. ახლა მატარებელი ჩამოდგება და ყოჩაღად რასაც მეტს „დაამარბ“ მეტი მოგიწევს. — დარიგებას აძლევს სპეციალურად აყვანილ ბიჭს მატარებლის მოსვლის წინ ზარის დარეკაზე.

— ა? შეიი არ მიკვირს! რად უნდა ამ გლახას ამისანა მშვენიერი ქალი.

— მე ის მიკვირს, რომ ამისთანა მშვენიერი ქალს რად უნდა ამისთანა გლახა ქმარი? — ათვალისებრ ტარიელები მგზავრებს და ლილინებენ:

გენაცვალე კაკალ გულში, აქეთ მოდი მოხვეულში.

— დავრჩეთ შვილო, ამალამ სად გურში, თვარა თუ ამ ღამით სოფელში წავედიო. გზაში დაგებდებიან ესენი და... თავი მოგვეჭოება, საჯაყ საჭმეს გვიზამენ რავარიც ამას წინდ უჭენ ერთ ახლადამოსულ ქალ. — ეუბება სოფელი დედაკაცი ვასათოვარ ქალიშვილს, რომელსაც ტყიბულის ტარიელები მიმინოსავით უცქერენ თა უღვაშებს იგრებენ.

— რა უყვეს დედა.

— აი ეგერ რომ ორი კაცი დგას, ბესო გაბიანია და შალვა ვარდოსანიძე. ჰოდა, როცა მართლმდელა ქალი ოთანში იყო, გოჩრებენ კარი და გააუპატოურეს. ქალმა მორთო ყუჩილი. მივარდა ხალხი... მილიციამ დაიჭირა ესენი....

— მერე!

— მერე, რა ვიცე შვილო, ზომ ხედავ აგირ არიან. ქე იჯდენ ბარე საში დღე!

— ააა! თათი ამხანაგი უხდა იყო. — მიუთითა შვილმა დედას შალვა წერეთელზე.

— კი, მათი ამხანაგია. ამას წინად ბუბაშვილის ქალს დახვდა გზაში და გაიტაცა საწყალი... შვილო, აქეთ შემოტრიალდი, თვარა ისე გიმხერენ, რომ კარგს არაფერს გვიბიერებენ! — და დამინებული დედა-შვილი მათსავით დაშინებულლებთან ერთად რჩიბიან სადგურში დილაოდ.

ტყეში დაგმული ძროხა

— დავიღუპე კაცი! მარჩინალი ძროხა დამეკარგა! — მოთქვამდა იაგორა ვარდოსანიძე და ყველას ეკითხებოდა — ხომ არ დაგინახავთ ჩემი ძროხაო.

— ბესო გაბიანი ახსნა და ტყეში წაიყვანა. — გადაუჩურჩულეს დაზარალებულს.

— რაო? ვის აყენებ შენ შეურაცყოფას! ვაგიჟდი თუ? — იუქად რისა ბეკომ.

მაგრამ მრავალმა მოწმემ დაადასტურა ბრალდება.

— ბესო, თვარა მე რად მიწდა შენი იოჯა. ტყეში მყავს დაბმული! — „ხუპრობაში“ ჩაატარა ეს ამბავი ბესომ. ხოლო შილიციამ ასე დააკითყოფილა მომხივანი:

— ძროხა ზომ ნახე და ცოცხალიც არის! სხვა რად გინდა? — და რაკი მილიცია ვერ მიხვდა „სხვა“ კიდევ რა უნდოდა იაგორას, საქმე ამოიხარჯა.

კ-ს ღვთისმშობლისთვის სულგერთიან — როგორი საშუალებით შენაძენი ბურჰარილით გადაუხდინ მას დღეობას.

— დარდიც ნუ გაქვთ, ბიჭებო. რაკი ნორცის გარდა უკვე ყველა ფერი გვაქვს, მაგ საკითხს შე მოვაგვარებ! — თქვა ჯავახიძემ და თოფი მხარზე მოიგდო.

გაიარგამოიარა სოფელში.

აგერ მისი ყანის მახლობლად ბურვაკი დგას და ფიქრობს — თუ საითკენ წავიდეს საკვების საშოვნელად. ყანები მას გასაქანს არ აძლევენ. მან იცის, რომ ყანაში შეპარეა უსინდისობა არი და თანაც — სახიფათო.

დგას ბურვაკი და ფიქრობს.

— ჰაა! ალბათ შენ ჩემს ყანაში შესვლაზე ფიქრობ, მარა ვერ მოგართვი ბადრიჯანი! — გაიფიქრა ჯავახიძემ და თოფმაც იგრილა! ფიქრიდან გამორკვევაც ვერ მოასწრო ბურვაკი, რომ სული განუტევა.

— ეს ბატოც კაოგი აქეია... ეს ინდოურიც. — მდა გაენსნა სახელოვან მონადირეს და მათაც ბურვაკის ბედი არგუნა.

— შემწვარი ქათმები გვაწყენდა თუ იციო? — იკითხა ერთმა.

— მართლა, კინაღამ არ დამევიწყდა! — შეხრა მიშა.

— დაახებე თავი, ახლა სად იშოვნი.

— მოგიკვდეს ბიჭი! — თა გარედ გაიაროა.



— თავს ვეშველოთ, ტარიელები ხომ დიან!

მარიაშობა

ძროხა პატრონს ჩაბარდა, მაგრამ ამის გამო ზომ არ გაუქმდებოდა, ანდა არ გადაიღებოდა მარიაშობა.

რამდენიმე ქაათი უკვე გაჩნდა. — ასე მალე სად იშოვნენ? — აგერ ქერივი პელაგია კარდოსანიძე რომ არის, მისგან „ვისესტე“ მას მაინც რად უნდა, თითონ არა სკამი, მხოლოდ ყიდის. (იხ. მე-11 გვ.)



წახ. თთაროვის.

სადგურ ფოთში ხოთბლელსა გადა საზიდად ზშირად იგზავნება უვარისი ქვემოთა ზიკონი, რომლებიდანაც იბნევა ხორბალი.

კონკრეტული გეგმითა



— თუ კი თესვა ზეგროკლანე ზიდანაც ში ხდება, ჩვენ რა მათუფ ნაკლუბი მართო? ახალან გამომგდო მათი ღრის განმავლოზაში ღავთუ სავთი!

„აღმორენა“

და შემოუსდენ სუფრას, რომელსაც ამშვენებდა პურის, ღვინისა და ზემოდჩამოთვლილი შინაური ცხოველებისა და ფრინველების გარდა, კიდევ: ვას. ვარდოსანიძის დაჩეხილი ძროხა, თეოფ. ვარდოსანიძის მოკლული ღორი, გრ. ვარდოსანიძის დაჩეხილი ღორი, ყაჭვიშვილის მოწამლული ღორი და სპირიდონ ვარდოსანიძის ხასიკვდილოდ დაჩეხილი ღორი.

როგორც ვხედავთ ტყიბულის მასობლად მეცხოველეობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამდენს მსხვერპლს კიდევ ვინ ჩივია. მათი შიშის გამო ცხოველები სამოგრაღ წასვლას ვერ ბედავენ. საკმარისია თვალი მოჰკრან, რომ თავზარდაცემული გარბიან და ერთმანეთს აფრთხილებენ:

— თავს უშველეთ, ტარიელები მოდიან!
— რატომ მილიცია ყურადღებას არ აქცევენ? — ეგებ იკითხოს მკითხველმა.

მილიცია აქცევა ყურადღებას, მაგრამ საჭმე იმაშია, რომ ეს ვაჟბატონები თურმე ერთმანეთს უდგებიან მოწმედ მილიციაში და ყოველთვის მართალი გამოდიან.

ხანდახან ოქშიც იწერება თურმე: „უბოლღება მოწმეების დაკითხვის შემდეგ არ დადსტურდა“.

ჩვენ ვიცით, რომ მეცნიერება და ტექნიკა საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული წარმატებით ვითარდება; მაგრამ ამ საჭმეში ჩვენის აზრით „განსაკუთრებით“ შეუძლიათ საქართველოს სახკინმრეწვისა მუშაგება იამაყონ. მათი აღმოჩენები ზშირად ნობელის პრემიის ღირსია (ამწუხარობა, რომ ნობელის პრემიით მხოლოდ მწერლებს აჯილდოებენ და სახკინმრეწვის ტექნიკურ მუშაგებს არ აძლევენ!) სახკინმრეწვმა აღმოაჩინა ისეთი რამ, რომელმაც დაჩრდილა კოლოუმბის აღმოჩენა, რომლითაც მნიშვნელობა დაუკარგა დარვინის უკვლევ თეორიას „სახეთა წარმოშობის შესახებ“. სახკინმრეწვის გამოგონებას რევოლუცია შეაქვს ადამიანის ბინაგობის, მისი ორგანოთა დაჯგუფების და მათ შორის ფუნქციათა დანაწილების გამოორვევის საჭმეში. სახკინმრეწვის მუშაგები ამტკიცებენ რომ ადამიანი თავით დადის, თავით ხტუნავს, თავით აკეთებს ცნობილ ამერიკულ ტრიუკებს, თავს უხვამს იატაკზე ან მიწაზე ცეკვის დროს და სხვ. ფეხები კი თავის ღადამიანის ორგანოს) ყოფილ ფუნქციებს ასრულებენ. ადამიანი ფეხით აზროვნობს, ფეხით ლაპარაკობს, ფეხით იკვებება. ფეხით იცინის; ტო-

რის რა მღერის, როცა ფეხები შესადგურ ხასიათზე იღვზიან. ეს აღმოჩენა, რომ სახკინმრეწვის მოშაგებს ეკუთვნის ამაჟამტკიცებს ის გარემოება, რომ შრომის მთელ რაგ პროცესებს თანახმად მათი თეორიისა, თავიდან კი არა, ფეხიდან იწყებენ, ჯერ ჰონორარს ჰამენ, შემდეგ სურათის დადგმას იწყებენ, ჯერ სურათს დგამენ, შემდეგ სცენარის შინაარსის გაშინჯიას იწყებენ. ჯერ უკანასკნელ სერიას გვიჩვენებენ, შემდეგ პირველს და სხვ. ამ მეთოდით მუშაობენ ისინი თელავშიც და მიყრუებულ შიკ კი. მაგალითად ამას წინად ფშაველში გლიჩებს მათ უჩვენენ „ჯანყი გურიისში“. პირველად უჩვენეს მეორე სერია, შემდეგ პირველი და პირველის შემდეგ მყურებლები მეცამეტე სერიას მოელიან.

სახკინმრეწვის ბოშაობის სისტემა და მისი სურათების შინაარსი შედარებით უფრო ვასაგები იქნება ქალაქელ მყურებელთათვის; მაგრამ ჩვენ, სოფლებში კულტურულად ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ხალხი ვართ და შერ მაინც გავგვმარტე სახკინმრეწვის მუშაობის ახალი მეთოდის მნიშვნელობა და მის მიერ ნაჩვენებ სურათების შინაარსი, აზანაგო ნაზანო! თელაველი.

ისელი.

შუამდგომლობა

მხანარამე. სადგურში მოსი-
რნე ღორებმა და თხებმა შუამდგო-
მლობა აღძრეს სადგურის შუამდგო-
მლობის წინაშე, რათა მათი წარმო-
მადგენელი კომბატაციის წესით შე-
ყვანილ იქნეს მშართველობის პრე-
ზიდენტში, ვინაიდან უკანასკნელი
ამ ბოლო დროს დიდ მწუშაობას
წარმოებენ სადგურის გამშენიერე
ბისათვის. მათი შუამდგომლობა
ერთხმად იქნა დაკმაყოფილებული.
გათელი.

საპატიო თავმჯდომარე

ზუზული. ქელების მოყვარულ-
თა ადგილობრივმა კომიტეტმა დაა-
დგინა საპატიო თავმჯდომარედ
აირჩიოს სახერხი ქარხნის მუშათა
დახ. კობ. თავმჯდომარე ახ. ლა-
დი ქადარია, რომელიც დიდ მშარ-
ველობას უწევს მათ და მიცვალე-
ბულთა „სულის მოსახსენებლად“
ქელების მოსაწყობად აწვდის
ფქვილს; შაქარს და სხვა საწვავ-
ებს. კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე
მიერთებს ლადის საპატიო სიველი
წარწერით:

„ჩვენი „ეპოს“ თავმჯდომარეს
ქადარიას ლადის,
ქელების, აოპების
მოამბავს—ნამდვილს“!

მეგობარი

დამკვირვებელი

ცხემლის-ხიდი. ცხემლისხიდის
კოლმეურნეობის თავმჯდომარემ
იჯარით გადასცა ჩაის პლანტაციე-
ბი მოსავლელად ძროხებისა და ლო-
რების კოლექტივს. იჯარა უფადაა.
კოლექტივმა უკვე გააჩაღა მუშაობა
დამკვირვებელი მუშაობენ ღამითაც.
ზუზი.

სიზმრად!...

არგვეთი. სოფლის საბჭოს თავ-
მჯდომარემ ნახა სიზმარი. ვითომ მი
სი ინიციატივით და ენერგიული მუ-
შაობით სოფ. არგვეთში მოწყობილ
იქნა კლუბი, სამკითხველო, რადიო
და გაჩაღდა კულტურის მუშაო-
ბა. სიზმარმა თავმჯდომარეზე დი-
დი გავლენა მოახდინა და იმაჟამად
უკანასკნელს აზრად აქის სინამდვი-
ლედ აქციოს ტკბილი სიზმარი. გამ-
ვის ასეთი განზრახვა ზოგიერთ
„ურწმუნო თომას“ არ სჯერა.
სოფელი



ოჯორგეთის მეტარეპელი

ოჯორგეთის მატარებელი დაიძრა.
ვაგონი ხალხით სავსეა. თაროებზე
დალაგებულ ბარგთა შორის ხშირია
მაჭრით სავსე ტიკორები, ხილეუ-
ლით გატენილი კალათები, გურუ-
ლი ფელამუშით სავსე „კოთხობი“.
შეზავრები „შეჩეივებულა“,
არის გაბმული საუბარი სვადასხვა
„საჭირ-ბოროტო“ საკითხებზე. ამ
დროს ატყდება კვილი-წივილი და
მიწვე-მოწვეა: მიშველეთ, დეო-
ხრჩვი!

— არიქა, გამიშვი, ტყავს გავა-
ძრობ მაგ ღდინძალს! და ატყდა
დაკა-დაკა.

გამოირკვა, რომ ერთ-ერთი მაჭ-
რით სავსე ტიკორა, რომელიც
მალა-თაროზე იდო უცებ გასკდა
და იქვე მსხდომ მანდილოსანს თავ-
ზე „ნელსაცხებლად“ დაეპყრა.
რაიც ვერ მოითმინა მისმა „ტარიელ-
მა“ და მუშტით გაუმსპინძლა
მის პატრონ „რაინდ“ დედაბერს.

დალამდა. მატარებელი სიბნელემ
მოიცვა. ასე გავიდა აზოქმის საბთი.
მოხლოვდა მორიგი სადგური, ხალ-
ხი ჩასასვლელად ემზადება, მაგრამ
ისე ბნელა, რომ ბარგის მიგნებაც

— მს პირსაბანი კი არა, ჯიბის
საბანი შოფილა!

ძნელი ხდება.
— კაცო რას გაქს ეს? რატომ სან-
თელს არ ანთებენ ვაგონებში! —
გაისმის ხმები.

გამოჩნდება გამცილებელი, რომ-
ლის დანახვის დროს მეორდება ხმე-
ბი:

— რატომ სანთელს არ ანთებ შენ,
ბებერო, თუ შენთვის კიდეც ღმეა,
როგორაა შენი საქმე?

— სად გინდათ ხანწელი; საცაა
მთვარე ამოვა და ვახათდება ყველა-
ფერი!

— შენ ხუმრობის გუნებაზე ხარ
და აქ კი ჯიბურების ბაირაში, რომ
დიდება—ვერ ხედავ?

— არ არის ამხანაგო სანთელი, არ
გვაძლევენ, ავი ერთი სანთელი მაქ-
და ამას მამინ ავანთებ—ბათომს,
რომ მიუახლოვდებით.

— სტყუი, სანთელს შენ კი გაძლე
ენ, მარა იბარავ ყოდი!

— არა, ამხანაგო, და თუ არ გჯე-
რა მიჩვილე მირავთი სულში!

მგზავრი



ს-ა-ა-ამი დღე

ჩემ შეიღებს რამე იმკილი უნდა გაუკეთო, რომ მაგათი კვებისა გან თავი გადავიჩინო, თორემ თუ ჩემმა ბაჭიებმა მთელი თვითი განმავლობაში ჩემი ძუძუ სწოვეს, შე მარტო ძელი და ტყავი დავრჩები.—იფიქრა დედა—კურდღელმა და თავის ახლად დაბადებულ ბაჭიებს ასეთი სიძალით მიმართა:

— გენაცვალე, შეიღებო! თქვენ შემოგველოთ ჩემი თავი!

— დედიკოს ჭირიმე!
— რა კარგი დედიკო გვყავს!
— დედიკუნას დავნაცვლეთ!— შესახანს ბაჭიებმა.

— მითხარით შეიღებო რა გენატრებათ და ყველაფერს აგისრულებთ, — ძუძუ, დედიკო, ძუძუ გაწოვე!
— გაწოვებთ შეიღებო, გაწოვებთ! რამდენხანსაო იტყვი, იმდენ ხანს გაწოვებთ. ახლავე მითხარით შეიღებო, რამდენ ხანს გირჩვენათ რომ გაწოვით:

სამი თვე, თუ
— **სა—ა—ამი დღე?**
და სიტყვა სამი დღის აღნიშვნის დროს ისე გააქიანურა, თითქოს სამ თვეს აღარ აპირებდა მის დასრულებას.
ბაჭიებმაც იფიქრეს: „სამი თვე“ რა არის, „სა—ა—ამი დღე“.

ყოფილა, რაც ყოფილაო და ერთხმად შესძახეს:

— **სა—ა—ამი დღე!**
ხემათ მოყვანილი ანეკდოტი მითომ გავიხსენე, რომ ამ დღეებში ერთ-ერთ ტრესტის საქმიანობაშიც ანალოგიურ მოვლენას ქონდა ადგილი.

— პარტიის პოლიტიკა ფასების დაკლებას და მომხმარებლების ყოფაცხოვრებითე ჯობსებას ითვალისწინებს. ამიტომ პატარა იშკილი უნდა გაუკეთო, რომ საგრძნობ დაკლებისაგანაც თავი გადავიჩინო და...

იფიქრა ტრესტმა. ამ ფიქრის შემდეგ მან თავის თავი დედა კურდღლის როლში წარმოიდგინა და მომხმარებლებს ასეთი სიტყვით მიმართა:

— გენაცვალეთ მომხმარებლებო! თქვენ შემოგველოთ ჩემი თავი!

— საქონსერვტრესტის ჭირიმე, მის კონსერვს ვენაცვალე, გინც მისი ჯემო არ იცის ახვეული აქვს თვალები.

უპასუხეს მომხმარებლებმა.
— შე გადაეწვირა უასების დაკლება.—განაცხადა საკონსერვო ტრესტმა.

— ტრესტის ჭირიმე.
— რა კარგი ტრესტი გვაქვს! — ახმაურდნენ მომხმარებლები.
— მითხარით რის კონსერვით უფ

რო იკვებებით, რომელ მრეწველთა კიბის შეადგენს თქვენთვის მომხმარებლის სახოდაც. ავილაზე შეტ ფასს იმას დაუკლიბ,

— თევზხორცეულის კონსერვი.
— თევზის.
— ხორცის!—გაისმა ხმა.
— პრასა და ნიახურს 50 პროცენტი დაუკალი. რამდინი დაუკაოთ თევზხორცეულის კონსერვის: **ორმოცდაათი, თუ ო—ო—ორ—ნახევარი პროცენტი?**

ცხადია მომხმარებლები სინამდვილეში არ არიან კურდღლის ბაჭიები და საკმაოდ ერკვევიან. თუ რას განსხვავება სამი თვის სა—ა—ამი და „სა—ა—ამი დღის“ შორის. მაგრამ საქართველოს საკონსერვო მრეწველობის ტრესტმა, მართლაც მნიშვნელოვნად გააიიფა ხილბოსტნეულის პროდუქტები.

ფელეტონის ავტორი სთხოვს მკითხველებს: ნუ გამოიჩენენ სიმკაცრეს ტრესტის მიმართ და ზევით მოყვენო ქრონიკის უკანასკნელი წინადადება ტრესტის უხერხული მდომარეობიდან გამოთქმის ნაცვლად ასეთი გამომეტყველებით წაიკითხონ:

ხორცეულ თევზეულის კონსერვზე ფასები დაკლებულია—**ო—ო—ორ—ნახევარი პროცენტი!**
მ—ზა

საყვედური

ნახ. ლონის

„გვიტარებს ზონალური სადგურის ეზოში ნაკვალავი სითხის სადენი კვალის გაუყიანობის გამო სიბინძურე გამეფებული. სადგურის გამგეს ალიეგს საყვედური გამოუცხადეს“

(„კომუნა“).



მახედ ალიევი: — სადა ხარ აქამოე მთელ იმედებს შენზე ვაყარებდი, შე არამზადავ რომ შემარცხინეს აწი იწყებ კვალის გაყვანას!

მიმოფრენა

კუდი დაეკარ ტფილისში და...
ვინახულე ალბულაი.
შემკობილა ყოველმხრით და
სანახავად არის ლალი.

მაგრამ ეს არ მომეწონა.
მასაც აღევს ერთი დალი;
დალი ვეზომ სამარცხენო:
მის შარა-გზებს აქვს ტალახი

წითელ-ყვითელ ტბა-ჩალახი
ქვეშ გემლება ფიანდაზად,
და მე ამის დამნახავსა
წომავონა ეს ანდაზა:

„კამეჩი წევს და იცოხნის
თავის ამინდი ჰგონია
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია“..

და მიუსწერე ეს თქმულება
ალნასკომის თავმჯდომარეს.
მე ვაწერე: „არ შეჭვირის
ასეთი ფსა ამ თქვიენს მხარეს“

მზე ჩავ და; ჩამობნელდა.
ალარც კაში მოჩანს მთვარე.
ელსადგური დავინახე
და იქიოკინ გაიჩქარე.

მაგრამ ცხა-კვალს ვეღარ ვარკვევი,
გზა სიბნელემ გადმირაზა
და მე ისევ მომავონდა
ეს თქმულება, ეს ანდაზა:

„ერთი პატარა მანანა
ხან გაიცინებს, ხან არა“.

თუ ელსადგური კი არის,
ან იყოს იგი, ან არა.



კუდი დაეკარ ალბულადში...
ვინახულე სართიქალა.
თავმჯდომარემ თურმე სკოლ
გამოავლე პირში ჩალა.

რაისაბჭოს სკოლისათვის
გამთაროფა მან მასალა,
თავი სახლკარს მოახმარა
და სკოლა არ შიობრალა,

ამიტომაც მოწადეებს
დასაჯდომში არ აქვთ სკამი
ერო პარტაზე წის მოწადე
რეცხვით ბარი თაოასამი

აქაც მაგრად დაეკარ კუდი,
ტფილისისკენ გადმოიფრინდი,

დაეკრა შეტე მომივიდა,
ბტრატოსფეროს გადავფრინდი.

უჭაერო სივრცე იყო,
იქ არ ჰქროლა სიო-ბინდი.
ერთი წამი გავიდა და
ჰე ტფილისში ჩამოიფრინდი.

ვენიკულერს თვალი მოეკარ,
ვამჯობანი იქ დაშვება
(ლომით იყო ეს ამბავი)
გულმა იგრძნო ლხინი, შვება.

ელექტრონი ანათავდა,
ვერ სჯობნიდენ მზე და მთვა
ჩამოვედი ძირს სადგურში
აა (რემლები ბევრი იღიარე

იქ ბალია. ბალს იბე აჩის
ესენათლო როგორც ღამე;
სერს იტებს გინც გაივლის
იქ ჩიხი: „ვამე... ვამე“.


ვერ ავციდი ამ განსაცდელ
ჩამალა გადაებრუნდი
და კისერთავეგატეხილი
მე წიარითან ალავ დაებრუნდი.
რაელი

სენაკის სადგურში

ნან. თთაროვის.

სენაკის რაიონის ზოგადი საბჭოთა მეურნეობების (გეგმის, ძველი სენაკის, დი-დი-ჯიბიშის) ძალიან დაგვიანებით მოაჩვენა სადგ. სენაკიდან მათ სახელებზე მიი-საქონელი





ხვლიკს (დუშეთი): — იწერეთ: დუშეთში მზაჩის გამგეთ არის ხამოცი წლის „კაბუკი“ დუღაური, რომელიც დიდი მოარსიყე ვინება. განსაკუთრებული იერიში მიაქვს და რავე ქალებზეო.

გამოიყენეთ ცივი წყალი დუღაურის დასამშვიდებლად და თუ ამანც არ გაკრა, ცივ ჩანგალს მოვაშველებთ.

მასვე: — მოგვყავს ნაწყვეტი თქვენი ლექსიდან, რომელიც დუშეთის თეატრში გამეფებულ ხულიგნობას უხება

თეატრი და წარმოდგენა ვართობაა გონებრივი, აქ მას თან სდევს ფიზიკულ-ტურაც, იმართება მუშტი-კრივი. ამას წინედ ჩვენს თეატრში ერთი წარმოდგენა ნახეს, და ბიების მსვლელობის დროს, ხუთი კაცი გაგვიღახეს. მერე რატომ არ ასახელებთ ხულიგნების გინაობას?

კინოროსს (შემოქმედი, გურიია): — თქვენი ბრალდება ფოსტა-ტელეგრაფის განყ. გამგის ელო ჭანკვეტიძის შესახებ არ არის საკმაოდ დასაბუთებული.

სამს (ხაშური): — ხაშურის პედ-ტექნიკუმის დირექტორის შესახებ იწერებთ

დირექტორად არის სკოლის ძინძიბაძე ჩვენის ვანო, არის, მაგრამ ვთხოვთ ნიანჯო მოგვაშორო წაიყვანო. პედტექნიკუმსაც განაგებს ჩვენი ვანო, — დირექტორი ქეიფში და დვინის სმაში არავინ ყავს ქვეყნად სწორი, შევირდებში დაქეიფობს, ფულსაც უქნა თურმე უღუნწი, ათასები მიავლანვა, ერთი კენტი ორი — ლუწი. ე. ი. გამოდის, რომ თქვენი ბრალდებით ხუთი ათასამდე ვაუფლანგავს. ებ ბრალდება არ არის თქვენს წერილში საკმაოდ დასაბუთებული, და მისი წინწორის შემოწმება პროკურატურისთვის შეგვინდვია, რაც შეეხება ბრალდებულს მოწაფეებთან ქეფს, ეს აღმათ თავისებური „პრაქტიკული გარჯიშობა“, რომელიც ძინძიბაძეს აღზად თეორიული სწავლების „გადრმავების“ მიზნით შემოუღლია. და ამ მიღწევისათვის განათლების ინსპექციამ იგი ღირსეულად უნდა დააჯილდოვოს.

ინინდის (ზუგდიდი): — იწერეთ: მოქალაქე №-ს (გვარს ჩვენ არ ვაკვევებთ. რედ) მისთვის ერთ

უცნობ ქალზე და ოქსებიდან ორი თვის გასაღის შემდეგ ცხრა თვის ბავში შეეძინათ. შეიძლება ეს ბავში, როგორც თქვენ ამბობთ, №-ში კი არა, „ლმურთმა“ გაჩინა, — ეს ამბავი არც ისეთი „სასწაულებრივი“, როგორც თქვენ გეჩვენებთ, მაგრამ ჩვენ ვერ გავიგეთ რა შუაშია ამ საქმეში ზუგდიდის ქალაქის საბჭოს ფინგანის ყოფილი გამგის ალ. ჭოჭიას მიერ 4000 მანეთის ვაფლანგვა? ჩვენ ვერ გავარკვევთ, რა მიზეზობრივი კავშირი არსებობს „დამკვირვებელი“ წესით ბაგვის დაზადების და ჭოჭუას მიერ ფულის ვაფლანგვის შორის. დაიხმარეთ პროკურატურა: იქნებ მასთან ერთად ვავარკვეოთ ეს რა კითხო.

აკაპდის (აქვე): „უხერხულა“, — კაცი ამირ-კავკასიის ინოვაციური მუშეგავის მესამე კურსის სტუდენტი ხართ და თქვენი ქუჩის ახუნელის დაწერა არ გეჩვენებთ, თქვენს მისამართს, ჩვენს რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილში ასე აღნიშნაეთ:

თფილისი, ანგელოზის (?) ქუჩა... (და ახე)

შე „კაი“ კაცო, ანგელოზებს საბჭოთა ტფილისში ქუჩებს კი არა, ეკლესიებს აღარ უშენებენ და ჩვენი თვითმფრინავები და სტრატოსტატები მათ ცაშიაც კი აღარ აყენებენ, თქვენ კი თვალის დაგებუქავით და წარმოდგენით, რომ ანგელოზის ქუჩაზე ცხოვრობთ... არ მოტყუდეთ! ჩვენ გამოვირკვევთ თქვენი მი სამართი და ვავიგეთ, რომ თქვენ ცხოვრობთ ენგელის (და არა. ანგელოზის) ქუჩაზე, — ფრიდრიხ ენგელის ქუჩაზე! პირველად გესმით?! აწი მანც დაიხსომეთ.

გოღარკის (ენისელი): — მოგვყავს თქვენი ლექსის „განია კობალიონჯის სიმღერის“ ნაწყვეტი (ეგ ვინა კობალიონსკი თურმე შიშის წარს გვრის ენისელ მანდილოსნებს). შიშით ქალებს ვესიზმრები. მინდა დაგცე ბნელა და ვაძახო სათითოდ ყველას „ვაი დედა“.

მარტო ამის თქმა არ კმარა. უნდა დაასახელოთ მისი ლთათობის და ხულიგნობის მოქმედების ფაქტები.

კედაქციისაგან: ურ. „ნიანგის“ № 22-ში მოთავსებული წერილი ჩოხატაურიდან: „ასალოს ღილინი“ არ შეეფერება სინამდევებს.

ალ. ჩიხელს (აქვე): — იწერეთ: ბავში, რომ რედაქცია დაუბეჭდავს სოლმი რამდენიმე სტრიქონს უცნობ ავტორს. ამის შემდეგ იგი (ავტორი) რწმუნდება, რომ მართლაც პოეტია, მისი მოწოდება მწერლობა არის. ყოველგვარ საქმეს ანუ ბებს თავს და ხელს ჰკიდებს მწერლობას, აწვალებს თავსაც და რედაქციებსაც. სჯობდა კი მას თავიდანვე სხვა საქმისათვის მოეკიდებელი.

დაიხ, ასე ხდება სოლმი. და ჩვენც ამისი გვეშინია, რომ არ ჩავდეთ თქვენს ცოდვაში. ყოველ შემთხვევაში კარგად გასინჯეთ იმ ის თქვენი ლექსი: სასაღილოსაც ჭებები, წესრიგი აქაც ძვირია, აღმინისტრაციავე აქაც ვაამახვილენ ყურია.

ყურზე მოგვაგონდა. ასეთი ლექსის ავტორებს ნიანგი ყულის უწევს... ჩანს თქვენ სტუდენტი ხართ, რადგან სტუდენტთა ქალაქზე გწერთ. თლიან აჩქარებულხართ. ვერ რა დროს თქვენი სტუდენტობა:

ლი და ვა-გმს (ქ. მახარაძე): — არ არის სავალდებულო ცუდ საქმეზე ცუდად წერა: „ლექსი თუ ცუდია, თითონ საქმე ასეთია“ — ი. რა თქმა უნდა ცუდია, როცა ფაბრიკაში უჯრედის ასეთი მდივანია:

მან მუშკომის ბეჭედით ისარგებლა დროებით. გასცა ყაღმა მოწმობა, ქალის გულის მოგებით, — მაგრამ ასეთივე ცუდია თქვენი ლექსიც:

ფაქტიურად არ ცოდნია ხულ ეს საქმე დირექტორსა, მხოლოდ გაუკეთებიათ დიმიტრისა და სტრახოსა.

შ. ბ-რელს (ჭიათურა) ალბათ მანდ ტრესტში ვაიგებენ ვისაც ეხება ეს თქვენი ლექსი:

მოსემ უთხრა ნოქარსო: გამარჯობა შენიაო. მაგრამ ქცევა ჩემსა მიმართ არა მოწონს შენიაო. „საიდუმლოს“ გამვე ვარ და მამარაგებ ცუდადაო. მე ქვეშ მიწა ჩეჭმებად მაქვს, მალლა ცა კი-ქულადაო. რაც მიიღო საქონელი, ჩემი არის ათი ნორმა. „საიდუმლოს“ საიდუმლოდ მომიტანეთ კაცმა ორმა.

ჩვენც საიდუმლოდ შევინახოთ ჯერჯერობით ეს ამბავი მტეი ფაქტების შეკრებაზე.

ნაგობი

ქართული
ბიბლიოთეკა

363



„ნეტარ იყვენ მუვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“ (იხ. 1) 83)